

საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაცია

ეთიკისა და სოციალური ზემოქმედების კომიტეტის სხდომის ოქმი #7

18 ივლისი 2017 წელი. თბილისი.

კომიტეტის სხდომას ესწრებოდნენ კომიტეტის წევრები:

1. მალხაზ ძაძუა - მისო „კრისტალი“, კომიტეტის თავმჯდომარე.
2. ნატა ლუდუშაური - ბანკი „კრედო“
3. ნინო მოსიაშვილი- მისო „BIG“
4. ქეთევან ბედენაშვილი- მისო „BIG“

კომიტეტის სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

1. იური ლებანიძე - ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
2. ანა ნაფეტვარიძე - ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ასისტენტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: მალხაზ ძაძუა

დღის წესრიგი:

1. კომიტეტის წინა სხდომის ოქმის მიმოხილვა;
2. შემოსული განცხადებების, საჩივრების, ინიციატივების განხილვა;
3. მიმდინარე სოციალური პროექტებისა და ინიციატივების შესახებ ინფორმაციის გაცვლა;
4. სხვა საკითხები და რეკომენდაციები

1) კომიტეტის წინა სხდომის ოქმის განხილვა.

კომიტეტის წევრებმა მიმოხილეს წინა სხდომის ოქმში (#6) დაფიქსირებული საკითხები და მათი შესრულების მიმდინარეობა.

შესრულებული რეკომენდაციები: ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ცხელი ხაზისა და საჩივრების მექანიზმის შესახებ. კომიტეტის წევრი ორგანიზაციების ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია ინფორმაცია ცხელი ხაზის შესახებ. ზოგიერთ მისო-ს გამოქვეყნებული აქვს სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიში.

შეუსრულებელი რეკომენდაციები: ასოციაციის ვებ-გვერდზე არ არის ატვირთული კომიტეტის ოქმები (ტექნიკური მიზეზების გამო); ასოციაციის წევრების უმრავლესობას არა აქვს თავის ვებ-გვერდზე განთავსებული ეთიკის კოდექსი და ასოციაციის ცხელი ხაზი; ზოგიერთ ორგანიზაციას არა აქვს გამოქვეყნებული სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიში; არ არის გაკეთებული ეთიკის კოდექსის შესრულების შესახებ შიდა ანგარიში.

2) შემოსული განცხადებების, საჩივრების და ინიციატივების განხილვა;

კომიტეტმა იმსჯელა შემოსული განცხადებების და საჩივრების შესახებ, რომელიც განეკუთვნება მისი მოქმედების სფეროს. აღმასრულებელი დირექტორისა და ასისტენტის განცხადებით, ბოლო კომიტეტიდან დღემდე ასოციაციაში არ შემოსულა არც ერთი საჩივარი მისი წევრი ორგანიზაციების მიმართ.

3) მიმდინარე სოციალური პროექტებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაცვლა;

კომიტეტის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია თავიანთ ორგანიზაციებში მიმდინარე სოციალური პროექტებისა და ინიციატივების შესახებ.

ძირითადი მსჯელობა გაიმართა ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ახალი რეგულაციების შესახებ, რომელიც შეეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვას და ამ კუთხით ორგანიზაციების მხრიდან გასატარებელ ღონისძიებებს (სესხების ლარში გაცემა, ეფექტური განაკვეთი, პროცენტის ზედა ზღვარი, რეკლამირების წესები, ონლაინ სესხები და ა.შ.)

კომიტეტის წევრებმა ძირითადად დადებითად შეაფასეს მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სექტორის მეტი გამჭვირვალეობის კუთხით მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რეგულაციების შესრულება მისო-ებისგან მეტ ადმინისტრაციულ რესურსებს და ახლებურ მიდგომებს მოითხოვს, საბოლოო ჯამში ეს ხელს შეუწყობს ფინანსური ინსტიტუტების გრძელვადიან სტაბილურობას და ბაზრის გაჯანსაღებას, რაც დადებითად აისახება სექტორის რეპუტაციაზე.

4) სხვა საკითხები და რეკომენდაციები

- ასოციაციის აღმასრულებელ მენეჯმენტს მიეცა რეკომენდაცია, რომ კომიტეტის მუშაობის მეტი გამჭვირვალეობისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ყველა ოქმის განთავსება მოხდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე.

- ასოციაციის წევრი ორგანიზაციების მიერ მოხდეს წლის დასაწყისიდან მათი კლიენტების მიერ გაკეთებული საჩივრების მარტივი სტატისტიკის გაზიარება აღმასრულებელ დირექტორთან.

- ეთიკის კოდექსის ხელმომწერმა ყველა ორგანიზაციამ მიმდინარე წლის ბოლომდე გააკეთოს თვითშეფასება იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს ეთიკის კოდექსის მუხლებს. შეფასების ფორმის შემუშავებას და კომუნიკაციას მოახდენს კომიტეტის თავმჯდომარე 1 თვის განმავლობაში

- აღმასრულებელ დირექტორს ეთხოვა კიდევ ერთხელ გააკეთოს კომუნიკაცია წევრ მისობთან იმის შესახებ, რომ მათი მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში სოციალური კომიტეტის წევრები მზად არიან წლის ბოლომდე ორგანიზება გაუკეთონ 1 ან 2 დღიან საინფორმაციო სემინარს, რომლის ძირითადი თემა იქნება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მიკროსაფინანსო სექტორში და ამ კუთხით ადგილობრივი თუ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.



სხდომის თავმჯდომარე: _____

მალხაზ ძამუა

სხდომის მდივანი: _____

ანა ნაფეტვარიძე